



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030164672194415

№ 01-180/ო

23 / ივნისი / 2015 წ.

„დეპრესია ბავშვებსა და მოზარდებში“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინის) დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:
 - ა) „დეპრესია ბავშვებსა და მოზარდებში“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) - (დანართი N1);
 - ბ) „დეპრესია ბავშვებსა და მოზარდებში“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინის მოკლე ვერსია) - (დანართი N2);
 - გ) „დეპრესიის მკურნალობა ბავშვებსა და მოზარდებში“ - ინფორმაცია პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის (მზრუნველებისთვის) - (დანართი N3).
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

დავით სერგუენკო